

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგითი

სხდომის ოქმი N11

ქ. ვანი, თავისუფლების ქ. N65

17.07.2020 წ.

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარე - ალექსანდრე ლილუაშვილი.

სხდომას ესწრებოდა საკრებულოს 27 წევრი: – ალექსანდრე ლილუაშვილი, გიორგი ივანიაძე, გელა ჩიკვაძე, ტარიელ ბარამიძე, რამაზ არველაძე, კობა ტოხვაძე, გელა ვარდოსანიძე, კობა ძაგნიძე, ეთერ ჭიჭინაძე, თამთა დვალიშვილი, თამარ შენგელია, ალექსანდრე ოქროპილაშვილი, ოლეგი მიქელთაძე, გია ხარაბაძე, ივანე კორძაძე, მალხაზ ცერცვაძე, შალვა ლორთქიფანიძე, რობიზონ ფუტყარაძე, ამირან ტალახაძე, პაატა ხურციძე, თენგიზ დვალიშვილი, სანდრო ხურციძე, შოთა გიორგაძე, მერაბ ხურციძე, დავით ადვიშვილი, გია ოჩხიკიძე, აპოლონ რამიშვილი.

სხდომას საპატიო მიზეზით არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: გიგა გოგობერიძე, კობა ძაგნიძე, ვლადიმერ ჭვალაძე, დავით ხარძეიშვილი, ბიჭიკო პაიკიძე, ვარლამ გიორგაძე, დავით კაკაბაძე, თორნიკე ერისთავი.

(დანართი: N1)

სხდომას ასევე ესწრებოდა:

საკრებულოს აპარატის იურიდიულ და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების უფროსი - **ლუიზა ჯოგლიძე**.

საკრებულოს აპარატის იურიდიულ და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების უფროსის მოადგილე საორგანიზაციო საკითხებში - **ლუბა გოგობე**.

მოწვეული პირი:

ვანის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის, ინფრასტრუქტურის და არქიტექტურის სამსახურის უფროსი - **მამუკა ნამიჭეიშვილი**.

ვანის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი - **ივანე მამფორია**.

სხდომის თავმჯდომარე ალექსანდრე ლილუაშვილი საკრებულოს ღია სხდომას 14⁰⁰ საათზე გახსნილად აცხადებს.

დღის წესრიგი

1. „ვანის მუნიციპალიტეტში 2020-2021 წლებში დასაფინანსებელი პროექტების შერჩევის შესახებ, ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 13 ნოემბრის #27 49 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.“

მომხსენებელი: მამუკა ნამიჭეიშვილი.

2. „ვანის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის 6-თვის შესრულების მონაცემებისა და სარეზერვო ფონდიდან თანხების განკარგვის თაობაზე ინფორმაციის მოსმენის შესახებ“;

მომხსენებელი: ივანე მამფორია

3. სხვადასხვა

წარმოდგენილი პროექტისადმი შენიშვნები არ გამოთქმულა. ჩატარდა ღია კენჭისყრა:

მომხრე -27

წინააღმდეგი - არცერთი.

დაადგინეს: დღის წესრიგი მიღებულ იქნა წარმოდგენილი სახით.

მოისმინეს:

დღის წესრიგის პირველ საკითხთან დაკავშირებით, მომხსენებელმა მამუკა ნამიჭეიშვილმა წარმოადგინა განკარგულების პროექტი „ვანის მუნიციპალიტეტში 2020-2021 წლებში დასაფინანსებელი პროექტების შერჩევის შესახებ, ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 13 ნოემბრის #27 49 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.“

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ N27 49 განკარგულების დანართს დაემატა ვანის მუნიციპალიტეტის 11 საბავშვო ბაღის რეაბილიტაცია (სველი წერტილების და სამზარეულოების მოწყობა) ღირებულებით 155 000 ლარი.

წარმოდგენილი პროექტის მიმართ შენიშვნები არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს:

მომხრე – 27

წინააღმდეგი – არცერთი.

გადაწყვეტის: დამტკიცდეს განკარგულება ვანის მუნიციპალიტეტში 2020-2021 წლებში დასაფინანსებელი პროექტების შერჩევის შესახებ, ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 13 ნოემბრის #27 49 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.“

(განკარგულება N 27 16)

მოისმინეს:

დღის წესრიგის მეორე საკითხთან დაკავშირებით, მომხსენებელმა ივანე მამფორიამ წარმოადგინა ინფორმაცია „ვანის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის 6-თვის შესრულების მონაცემებისა და სარეზერვო ფონდიდან თანხების განკარგვის თაობაზე ინფორმაციის მოსმენის შესახებ“;

მომხსენებელმა აღნიშნა:

ვანის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტი მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დამტკიცდა 2019 წლის 25 დეკემბერს, N27 დადგენილებით. შემოსულობებისა და გადასახდელების მოცულობა განისაზღვრა 10311,9 ათასი ლარით. წლის განმავლობაში ბიუჯეტში ოთხჯერ განხორციელდა ცვლილება, რაც განაპირობა საქართველოს მთავრობის განკარგულებით გამოყოფილი თანხების ბიუჯეტში ასახვის საჭიროებამ. ბიუჯეტის მოქმედი რედაქციით შემოსულობები შეადგენს 14272,0 ათას ლარს, გადასახდელები 15596,1 ათას ლარს, ნაშთის ცვლილება 1324,1 ათას ლარს.

2020 წლის ბიუჯეტის შემოსავლების წლიური გეგმა 14172,0 ათასი ლარით, ხოლო პერიოდის გეგმა 7277,0 ათასი ლარით განისაზღვრა. ბიუჯეტში მობილიზებულია 6879,7 ათასი ლარი, რაც წლიური გეგმის 48,5% და საანგარიშო პერიოდის გეგმის 94,5% ს შეადგენს.

გადასახდელების 2020 წლის საპროგნოზო მოცულობა 6700,2 ათასი ლარით, ხოლო პერიოდის გეგმა 3433,0 ათასი ლარით განისაზღვრა. საანგარიშო პერიოდის განმავლობაში მიღებული 2682,1 ათასი ლარი წლიური გეგმის 40,0 % და საანგარიშო პერიოდის გეგმის 78,1%-ია.

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტების 2020 წლის გეგმა 7017,0 ათასი ლარით, ხოლო საანგარიშო პერიოდის გეგმა 3670,0 ათასი ლარით განისაზღვრა. მუნიციპალიტეტს ფაქტობრივად მიღებული აქვს 4116,6 ათასი ლარის მოცულობის გრანტი, წლიური გეგმა 58,7%-ით, ხოლო პერიოდის გეგმა 112,2%-ით შესრულდა.

სხვა შემოსავლების წლიური საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 454,8 ათასი, ხოლო პერიოდის 174,0 ათასი ლარით. საანგარიშო პერიოდში მობილიზებულ იქნა 81,0 ათასი ლარი, წლიური

საპროგნოზო მაჩვენებლის 17,8%.

ინფრასტრუქტურის განვითარების პრიორიტეტის წლიური ასიგნება განისაზღვრა 6688,6 ათასი ლარის, ხოლო პერიოდის ასიგნება 3575,0 ათასი ლარი ოდენობით. საკასო შესრულება შეადგენს 3195,2 ათას ლარს, რაც წლიურად დამტკიცებული გეგმიური მაჩვენებლის 47,8%, ხოლო საანგარიშო პერიოდის გეგმიური მაჩვენებლის 89,4% ია.

დასუფთავებისა და გარემოს დაცვის პრიორიტეტის ასიგნებების წლიური გეგმა განისაზღვრა 480,0 ათასი ლარის, ხოლო პერიოდის გეგმა 240,0 ათასი ლარის ოდენობით. საკასო შესრულება შეადგენს 234,8 ათას ლარს, წლიური გეგმის 48,9% და პერიოდის გეგმის 97,8%.ს

განათლების პრიორიტეტის ასიგნებების წლიური გეგმა განისაზღვრა 2548,7 ათასი ლარის, ხოლო პერიოდის გეგმა 1224,2 ათასი ლარის ოდენობით. საკასო შესრულება შეადგენს 1010,0 ათას ლარს, წლიური გეგმის 36,6% და პერიოდის გეგმის 82,5%.ს

კულტურის, ახალგაზრდობის და სპორტის პრიორიტეტის ასიგნებების წლიური გეგმა განისაზღვრა 2257,7 ათასი ლარის, ხოლო პერიოდის გეგმა 961,8 ათასი ლარის ოდენობით. საკასო შესრულება შეადგენს 839,8 ათას ლარს, წლიური გეგმის 37,2% და პერიოდის გეგმის 87,3%.

ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფის პრიორიტეტის ასიგნებების წლიური გეგმა განისაზღვრა 820,1 ათასი ლარის, ხოლო პერიოდის გეგმა 501,1 ათასი ლარის ოდენობით. საკასო შესრულება შეადგენს 399,9 ათას ლარს, წლიური გეგმის 48,8% და პერიოდის გეგმის 79,8%.

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ასიგნების წლიური გეგმა 15596,1 ათას ლარს, ხოლო პერიოდის გეგმა 7916,6 ათას ლარს შეადგენს. საანგარიშო პერიოდის საკასო შესრულებაა 7008,4 ათასი ლარია, წლიური გეგმის 44,9% და პერიოდის გეგმის 88,5%.

წარმოდგენილი ინფორმაციის მიმართ შენიშვნები არ გამოთქმულა.

„სხვადასხვაში“ საკითხები არ განხილულა.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდეგ საკრებულოს რიგითმა სხდომამ მუშაობა დაამთავრა.

ალექსანდრე ლილუაშვილი

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე